სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების 2016 წლის პროგრამები

1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამა: - „ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: - 37 000 (ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარი
ქვეპროგრამა ითვალისწინებს ორი ღონისძიების ორგანიზებას: ***1)***
- ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების, ფინანსური მხარდაჭერა; 2)
- წლის შემაჯამებელი შეხვედრა წარმატებულ სპორტსმენებთან და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებთან.

1. ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების, ფინანსური მხარდაჭერა;

ღონისძიება ითვალისწინებს სხვადასხვა მაღალი დონის ჩემპიონატებში/ღონისძებებში მონაწილეობის მისაღებად ბათუმელი წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების დახმარებას, ასევე ფინანსურ მხარდაჭერას სპორტსმენთა ეკიპირებისა და სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფის მიზნით.

ღონისძიებაში მონაწილეობისას უპირატესობა მიენიჭება მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებს, საერთაშორისო დონის ,,ა-ბ-ჯ" კლასის ტურნირებში მონაწილეობას.

წარმატებულ სპორტსმენთა ხელშეწყობის ორგანიზება დაგეგმილია 2016 წლის ოთხივე კვარტალში. ღონისძიების ორგანიზებისათვის ქ. ბათუმის მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოყოფილია 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.

დაფინანსების მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია:

ა) დამტკიცებული განცხადებისა და სააპლიკაციო ფორმა;

ბ) საერთაშორისო პასპორტისა ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) საქართველოს ეროვნული ფედერაციისაგან ან აჭარის ა.რ ფედერაციიდან რეკომენდაცია და სპორტსმენის მოქმედი რეიტინგის შესახებ ინფორმაცია;

ე) ღონისძიებაში მოწვევის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) ინფორმაცია ჩემპიონატში ან ღონისძიებაში მონაწილეთა შესახებ.

დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხოურ ენაზე შესრულებული დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი სახელმწიფო ენაზე და ნოტარიულად დადასტურებული.

დაფინანსების ოდენობა და მიზნები:

პროგრამის ფარგლებში დაფინანსების სრული ოდენობა შერჩეულ თითოეულ მონაწილეზე არ უნდა აღემატებოდეს 3 000 (სამი ათას) ლარს. მონაწილეს შეიძლება აუნაზღაურდეს ჩემპიონატში ან ღონისძიებაში მონაწილეობისათვის აუცილებელი ხარჯები, ასევე სპორტული ინვენტარისა და სპორტული ეკიპირების

საფასური. სპორტსმენმა/მწვრთნელმა უნდა წარმოადგინოს გასაწევი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით.

კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს. პირველ ეტაპზე ხორციელდება წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვა, მეორე ეტაპი მოიცავს გასაუბრებას.

განაცხადის ფორმა: განაცხადი და აპლიკაცია წარმოდგენილი უნდა იყოს მერის ბრძანებით დადგენილი ნიმუშის შესაბამისად იხილეთ **დანართი 1, დანართი 2**.
განცხადების განხილვის ვადები:

 განცხადებების მიღება იწარმოებს ყოველი თვის პირველი სამუშაო დღიდან, თვის ბოლო სამუშაო დღის ჩათვლით 09-00 საათიდან - 18-00 საათამდე. შემოსული განცხადებები განიხილება განცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

P.S ღონისძიების დასრულების შემდეგ, ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დნართი N1

2. „წლის შემაჯამებელი შეხვედრა წარმატებულ სპორტსმენებთან და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებთან"

 - წლის ბოლოს შემაჯამებელ ღონისძიებაზე მოწვეული იქნებიან ბათუმელი ვეტერანი და წლის წარმატებული ახალგაზრდა სპორტსმენები, სპორტული ჟურნალისტები, რომლებიც დაჯილდოვდებიან სხვადასხვა ნომინაციებში: საუკეთესო სპორტსმენი; საუკეთესო მწვრთნელი; ღვაწლმოსილი ვეტერანი; წლის საუკეთესო სპორტული ჟურნალისტი; ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია წლის მეოთხე კვარტალში. ღონისძიების ორგანიზებისათვის ქ. ბათუმის მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოყოფილია 7 000 (შვიდიათასი) ლარი.

2. საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა

სპორტის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამა: - „საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა"
ქვეპროგრამის ბიუჯეტი: - 342 000 (სამასორმოცდაორი ათასი) ლარი.

ქვეპროგრამის მიზანი:

სპორტის ცალკეული სახეობების პოპლულარიზაცია და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობით ადგილობრივი სპორტსმენების ოსტატობის დონის ამაღლება.

ქვეპროგრამის აღწერა:

1. **„რუსუდან სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ტანვარჯიში"** - ტურნირში მონაწილეობას მიიღებს არანაკლებ 6 უცხოური გუნდი (60 სპორტსმენი). შეჯიბრება ჩატარდება გუნდური პრინციპით, ასევე პირად პირველობაში, როგორც ვაჟებში, ასევე გოგონებში. გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით. ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია 2016 წლის მესამე კვარტალში. ღონისძიების ორგანიზებისათვის ქ. ბათუმის მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 29 000 (ოცდაცხრა ათასი) ლარს;

2. „საერთაშორისო ტურნირი ბილიარდში" - ქ. ბათუმში ტარდება საერთაშორისო ჩემპიონატი ბილიარდში, თავისუფალ პირამიდაში, ევროპის ქვეყნების გუნდების მონაწილეობით. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენების საპრიზო თანხით დაჯილდოებას.

ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია 2016 წლის მეორე კვარტალში; ღონისძიების ორგანიზებისათვის (საპრიზო თანხის სახით) ქ. ბათუმის მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარს;

3. „საერთაშორისო ტურნირი ტაეკვონდოში" - ტურნირში მონაწილეობას მიიღებს არაუმცირეს 2 ადგილობრივი და 3 უცხოური გუნდი (როგორც მამაკაცთა, ასევე ქალთა გუნდები), სხვადასხვა წონით კატეგორიებში. გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცემათ თასები, მედლები და სიგელები, გუნდურ პირველობაში გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა მერიის თასი. ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია 2016 წლის მესამე კვარტალში, ღონისძიების ორგანიზებისათვის ქ. ბათუმის მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 16 000 (თექვსმეტი ათასი) ლარს;

4. „მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში" - ტურნირი ჩატარდება Fide-ს საერთაშორისო სპორტული კალენდრის მიხედვით, აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა სპორტსმენები (დაბადებული 1995-1997 წწ.) „UWW" მოქმედი წესების თანახმად, 50 კგ, 55 კგ, 60 კგ, 66 კგ, 74 კგ, 84 კგ, 96 კგ, 120 კგ წონით კატეგორიებში, დაშვება 2 კგ. ღონისძიებაზე იმსაჯებენ საერაშორისო I, II, III და ოლიმპიური კატეგორიის მსაჯები.

ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია 2016 წლის მეორე კვარტალში, ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენს 55 000 (ორმოცდათხუთმეტი ათას) ლარს;

5. „საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში ვ.ალთაბაევის თასზე" - ტურნირი ჩატარდება 18 წლამდე ახალგაზრდებს შორის, ტურნირში მონაწილეობას მიიღებს არაუმცირეს 2 უცხოური გუნდი. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებითა და დიპლომებით. საუკეთესო ნომინაციებში გამოვლენილ სპორტსმენებს გადაეცემათ სპეციალური პრიზები.

ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია 2016 წლის მეორე კვარტალში, ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენს 20 000 (ოცი ათას) ლარს;

6. „საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში პეტრე ბრეუსის თასზე" - ტურნირი ჩატარდება 18 წლამდე ახალგაზრდებს შორის. აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობას მიიღებს არაუმცირეს 3 უცხოური და 3 ადგილობრივი გუნდი.გამარჯვებულებს გადაეცემათ თასები, მედლები და დიპლომები. საუკეთესო ნომინაციებში გამოვლენილ სპორტსმენებს გადაეცემათ სპეციალური პრიზები.

ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია 2016 წლის მესამე კვარტალში, ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენს 25 000 (ოცდახუთი ათას) ლარს;

7. „საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფრენბურთში" - ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ უცხოური და ბათუმელი ქალთა გუნდები, გამარჯვებულებს გადაეცემათ ფულადი ჯილდოები, თასები, მედლები და დიპლომები.

ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია 2016 წლის მეორე კვარტალში, ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენს 25 000 (ოცდახუთი ათას) ლარს;

8. „საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ცეკვებში" - ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს წამყვანი სპორტსმენები. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით, დიპლომებით და ფასიანი

საჩუქრებით. ტურნირის თანადამფინანსებელი იქნება აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი.

ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია 2016 წლის მეორე კვარტალში, ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენს 20 000 (ოცი ათას) ლარს;

9. „ტურნირი ჩოგბურთში მოზარდებს შორის მერიის თასზე" - აღნიშნული ტურნირი მეოთხე წელია იმართება და მიიღო ტრადიციული ხასიათი. ტურნირი ჩატარდება გუნდური პრინციპით და მასში მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა ჩოგბურთელები. გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა მერიის თასი. საუკეთესო ნომინაციებში გამოვლენილ სპორტსმენებს გადაეცემათ სპეციალური პრიზები.

ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია 2016 წლის მეორე კვარტალში, ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენს 10 000 (ათი ათას) ლარს;

10. „გ. მენაბდის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში" - ტურნირი ეძღვნება ცნობილი ქართველი ფეხბურთელის გენო მენებდის ხსოვნას. მონაწილეობას მიიღებენ საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნების სპორტის დამსახურებელი ვეტერანები.

ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია 2016 წლის მესამე კვარტალში, ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენს 8 000 (რვა ათას) ლარს;

11. ქალთა საერთაშორისო ტურნირი „LEDIES OPEN"; - ტურნირი საერთაშორისო ხასიათისაა, რომელიც ქ. ბათუმში იმართება 1997 წლიდან; მასში მონაწილეობას მიიღებენ 20 ქვეყნის 100-მდე ჩოგბურთელი, მათ შორის ქართველი ჩოგბურთელებიც. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენების საპრიზო თანხით დაჯილდოებას.

ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია 2016 წლის მესამე კვარტალში, ღონისძიების ორგანიზებისათვის (საპრიზო თანხის სახით) მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენს 20 000 (ოცი ათას) ლარს;

12. „აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის (ELVZA) ჩემპიონატი საპლაჟო ფრენბურთში" - ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ არაუმცირეს ათი ქვეყნის საუკეთესო რეიტინგის მქონე 16 ქალთა და 16 მამაკაცთა გუნდი. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს საპრიზო ადგილზე გასული გუნდების თანხით დაჯილდოებას.

ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია 2016 წლის მესამე კვარტალში, ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენს 30 000 (ოცდაათი ათას) ლარს;

13. „საერთაშორისო საწვრთნელი სემინარი-ჩემპიონატი შოტოკან კარატე დო-ში" - ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია საერთაშორისო-საწვრთნელი სემინარისა და საერთაშორისო ტურნირის ჩატარება შოტოკან კარატე - დო-ში, მსოფლიო კარატე „შოტოკან - დო"-ს ფედერაციის ხელმძღვანელისა და შეფ-ინსტრუქტორის, მსოფლიო შვიდგზის ჩემპიონის, შავი ქამრის, მეცხრე დანის მფლობელი - ხიტოში კასუიას ხელმძღვანელობით. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ქ. ბათუმისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის კარატისტები, ასევე უცხოელი სპორტსმენები მათ შორის თურქეთის,ირანის, ყაზახეთის,რუსეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის ნაკრები გუნდები.

ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია 2016 წლის მეორე კვარტალში, ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენს 15 000 (თხუთმეტი ათას) ლარს;

14. „საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფეხბურთში" - ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ უცხოური და ადგილობრივი გუნდები, გამარჯვებულებს გადაეცემათ ფულადი ჯილდოები, თასები, მედლები და დიპლომები.

ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია 2016 წლის მესამე კვარტალში, ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენს 35 000 (ოცდათხუთმეტი ათას) ლარს;

15 „VI საერთაშორისო ტურნირის თავისუფალი სტილით ჭიდაობაში- „ბათუმი- ცანა-ქოლგიანი დელფინი" - აღნიშნული ტურნირი ეძღვნება საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წლისთავს და მასში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საბერძნეთის ჭაბუკთა ნაკრები გუნდები.ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია 2016 წლის 6 მაისიდან 8 მაისის ჩათვლით.ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენს 4008 (ოთხიათას რვა) ლარს.

3. ღონისძიება - „ახალგაზრდობის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“

ღონისძიება - „ახალგაზრდობის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“
ღონისძიების ბიუჯეტი - 64 000 ლარი.

ღონისძიების არსი:

ღონისძიება ითვალისწინებს ახალგზარდების მიერ მიერ ინიცირებულ ან ახალგაზრდებისათვის სასარგებლო მნიშვნელოვანი პროექტების განხორცილების ფინანსურ მხარდაჭერას.

ღონისძიების მიზნები:

კონკურსის მიზანია ახალგაზრდობის სფეროში ინიციატივების წახალისება, ახალგაზრდობის პოტენციალის სრული რეალიზება და ახალგაზრდობის სრულფასოვანი განვითარების ხელშეწყობა. საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების აქტიური ჩართვის შესაძლებლობა.

ღონისძიებაში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელიც:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ პირს, თუ ის აკმაყოფილებს კანონითა და წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებს;

ინიციატივები, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების,აგრეთვე მათ მიერ შექმნილი/დაფუძნებული იურიდიული პირებისა და ორგანიზაციების მიერ არ განიხილება.

დაფინანსების მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია:

ა) შევსებული აპლიკაციო ფორმა:

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმეტის ასლი;

დ) სარეკომენდაციო წერილი;

ე) თანადაფინანსების შემთხვევაში - დამადასტურებელი საბუთი.

დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც ბეჭდვური, ასევე ელექტრონული ფორმით (PDF ფაილის სახით);

მერია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია;

თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია, საქმის წარმოება განხორციელდება კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ბენეფიციართა შერჩევა:

კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს: პირველი ეტაპი - დოკუმენტების მიღება, მეორე ეტაპი - დოკუმენტების განხილვა.

განცხადების განხილვის ვადები:

- ყოველი თვის 15 რიცხვის ჩათვლით შემოსული განცხადებები განიხილება ვადის ამოწურვიდან მომდევნო 10 სამუშაო დღის ვადაში;

- ყოველი თვის 16 რიცხვის ჩათვლით შემოსული განცხადებები განიხილება ვადის ამოწურვიდან მომდევნო 10 სამუშაო დღის ვადაში;

P.S. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 8000 (რვაათასი) ლარს. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდეგ წარმოადგინოს მის მიერ განხორციელებული პროექტის შესახებ საბოლოო პროგრამული დაფინანსური ანგარიშები და გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მასალები (მათშორის ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა, საგადახდო დავალება, ინვოისი, ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, უწყისი, სალარო შემოსავლისა და გასავლის ორდერი),რომლის საფუძველზეც 7 სამუშაო დღის ვადაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტიდა ავტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში ხორციელდებასაბოლოო ანგარიშსწორება.

4. სტუდენტური საზაფხულო დასაქმება

ღონისძიება - ,, სტუდენტური საზაფხულო დასაქმება“

ღონისძიება - „სტუდენტური საზაფხულო დასაქმება“
ღონისძიების ბიუჯეტი - 85 000 ლარი.

ღონისძიების არსი:

ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამა - „სტუდენტური საზაფხულო დასაქმება“ ითვალისწინებს იმ სტუდენტების დასაქმებას, რომლებიც რეგისტრირებული არიან 2016 წლის 1 იანვრამდე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და სწავლობენ ავტორიზირებულ პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო აკრედიტირებულ უმაღლეს, უმაღლეს სასწავლო და პროფესიულ სასწავლებლებში.

ღონისძიების მიზნები:

ღონისძიების მიზანია ახალგაზრდებისათვის დროებითი სამუშაო ადგილების შექმნა, მოტივაციის ამაღლება, პიროვნული პოტენციალის რეალიზება, პრაქტიკული უნარჩვევების შეთვისება, გამოცდილების მიღება.

ღონისძიებაში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელიც:

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია სტუდენტის სატუსის მქონე საქართველოს მოქალაქეს, რომელიც რეგისტრირებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის 1 იანვრამდე.

პრიორიტეტი მიენიჭება შემდეგ სტუდენტებს:

ა) სოციალურად დაუცველები;

ბ) მრავალშვილიანი ოჯახიდან (ოთხი და მეტი შვილი);

გ) მზრუნველობამოკლებული (დედით ან მამით ობოლი);

დ) სტუდენტს, რომელიც არის საქართველოს ტერიტორული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულის ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარებულის შვილი;

ე) სტუდენტები, რომლებიც აქტიურ მოხალისეებად იყვნენ ჩართულნი ეკოლოგიის გამწვანების, გაწმენდით, დასუთავების და სხვა აქტივობებში.

ვ) წარჩინებულ სტუდენტს, რომლის აკადემიური მოსწრება ტოლია ან მეტია 81ქულის.

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია:

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მონაწილემ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდგომში - მერია) უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) შევსებული განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმეტი;

დ) ცნობა სასწავლებლიდან სტუდენტის სტატუსის, ფაკულტეტის, სპეციალობის, კურსის და წინა სემესტრის შედეგების მითითებით;

ე) საბანკო რეკვიზიტი;

ვ) მე-2 მუხლის 2.3 პუნქტით გაწერილი დოკუმენტი.

დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე; უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

ბენეფიციართა შერჩევა:

კონკურსი მოიცავს ერთ ეტაპს: დოკუმენტების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

განცხადების განხილვის ვადები:

განაცხადების მიღება იწარმოებს 2016 წლის 20 მაისიდან 20 ივნისის ჩათვლით, 09:00 საათიდან - 18:00 საათამდე, სამუშაო დღის განმავლობაში.

კომისია შემოსულ განაცხადებს განიხილავს და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს აცნობებს პროგრამის ამოქმედებამდე არაუგვიანეს 3 დღისა.

PS: პროგრამაში მონაწილე თითოეული ბენეფიციარის ანაზღაურება შეადგენს 400 (ოთხას) ლარს, კანონით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.